

შპს "აგრომაქს დეკორი" -426522337

**ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომლიც დასრულდა 2022 წლის დეკემბრის
ბოლოს.**



შპს "აგრომაქს დეკორი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2022	2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 997 260,65	1 829 932,92
არამატერიალური აქტივები	5	5 486,95	5 703,98
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 002 747,60	1 835 636,90
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუქტი	6	539 258,88	440 734,16
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1 352 444,52	1 108 995,54
მარაგები	8	1 081 088,90	2 646 924,47
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
ბიოლოგიური აქტივი		9 885 987,90	4 237 853,40
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 858 780,20	8 434 507,57
სულ აქტივები		14 861 527,80	10 270 144,47
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		531 862,00	531 862,00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		12 967 499,88	8 068 447,03
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		13 499 361,88	8 600 309,03
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	900 425,80	1 053 421,46
სასესხო ვალდებულებები		413 370,20	573 088,66
საგადასახადო ვალდებულებები		48 369,92	43 325,32
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 362 165,92	1 669 835,44
სულ ვალდებულებები		1 362 165,92	1 669 835,44
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14 861 527,80	10 270 144,47



შპს "აგრომაქს დეკორი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2022
ამონაგები		
თვითღირებულება	<u>12</u>	5 448 046
საერთო მოგება	<u>13</u>	(2 830 345)
სხვა შემოსავლები		2 617 701
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	3 506 013
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(1 168 602)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	(222 570)
საოპერაციო მოგება		(30 724)
ფინანსური შემოსავალი		4 701 818
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	(20 951)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		218 186
მოგება დაზღვევამდე		4 899 053
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		4 899 053
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		4 899 053

შპს "აგრომაქს დეკორი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2021
ამონაგები	12	5 277 456
თვითღირებულება	13	(2 766 981)
საერთო მოგება		2 510 476
სხვა შემოსავლები		380 943
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(938 870)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(142 333)
სხვა ხარჯები	15	(9 991)
საოპერაციო მოგება		1 800 224
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	17	(8 622)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		82 782
მოგება დაბეგვრამდე		1 874 384
მოგების გადასახადი	18	
წმინდა მოგება		1 874 384
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		1 874 384

მარაგები

ლარში

ნედლეული

დაუმთავრებელი წარმოება

ბიოლოგიური აქტივი

სხვა მარაგები

Check

12/31/2022

172 523,31

9 885 987,90

908565,59

10 967 076,80

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო დებიტორული დაგალოანებები

საექვო ვალუზის ანარიცხების რეზერვი

წინასწარ გადახდილი გადასადები

სხვა მოთხოვნები

Check

12/31/2022

1 387 576,36

-141 234,77

106 102,93

1 352 444,52

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში

ფული სალაროში

ფული საბანკო ანგარიშებზე

Check

12/31/2022

24 858,11

514 402,77

539 269

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში

სავაჭრო ვალდებულებები

გადასახელი ხელფასები

საგადასახადო ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

12/31/2022

818719,56

81 708,24

48 369,92

413 370,20

1 362 165,92

ამონაგები

ლარი

მზა პროდუქციის რეალიზაცია
ნედლეულის რეალიზაცია
მომსახურების რეალიზაცია
შემოსავლი საკურსო სხვაობიდან
სხვა ასაოპერაციო შემოსავალი

Check

31.12.2022

6 191 936

256 106

218 186

3 506 013

9 172 245

თვითღირებულება

ლარი

მზა პროდუქციის თვითღირებულება
ნედლეულის თვითღირებულება
მომსახურების თვითღირებულება

Check

31.12.2022

2 787 653

42 691

2 830 344

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

სარეკლამო ხარჯები

საწვავის ხარჯი

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი

რეალიზაციის დანახარჯები

Check

31.12.2022

16 699

79 707

29 602

70 226

26 334

222 570

სხვა ხარჯები

ლარი

ქონების გადასახადი

Check

31.12.2022

13 555

13 555

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

შრომის ანაზღაურება

ცვეთა და ამორტიზაცია

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი

საკონსულტაციო ხარჯი

ბანკის მომსახურება

დაზღვევის ხარჯი

ნოტარიუსის, თარგამნის ხარჯი

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

კომუნიკაციის ხარჯები

Check

31.12.2021

873 342

145 403

40 586

10 602

30 373

7 334

161

75 948

2 023

1 185 771

ფინანსური ხარჯი

ლარი

საპროცენტო ხარჯი

საკურსო სხვაობა

31/12/2019

20 951

"აგრომექს დეპოზიტი"

შუამდგომლობა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(არა)

	საწყისი კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
1 წლის 31 დეკემბერი	531 863		8 068 447,00	8 600 310
ბიზნესი მოგება	-	-	4 899 053	4 899 053
ხვალე სრული შემოსავალი	-	-	-	-
ერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
აღებული დივიდენდი	-	-	-	-
ანგარიშები კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2 წლის 31 დეკემბერი	531 863	-	12 967 500	13 499 363

შპს აგრომაქს დეკორის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრომაქს დეკორი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 426522337 კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: გარდაბნის რაიონი სოფელი სართიჭალა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესლით, სასუქებით, შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით, სპეციალიზირებულ მაღაზიებში, შერეული სოფლის მეურნეობა.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 95% იანი წილის მფლობელი ვოიცეხ არტურ გრაბჩევსკი და 5 % სერგეი ზარემო.

კომპანიის დირექტორია ვოიცეხ არტურ გრაბჩევსკი -პ/ნ 01101123308

2022 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 37 ადამიანი.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მის ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს; და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და

საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნაწილში ნაჩვენებია ბიოლოგიური აქტივი. ბიოლოგიურ აქტივი წარმოდგენილია ექსტერიერის დეკორატიული მცენარეებით. ბიოლოგიური აქტივის გადაფასება ხორციელდება წლის ბოლოს რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	15-20
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავიჯი და სხვა ინვენტარი	3-5
	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მოწოდებიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მიწოდების და მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც

თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
მნიშვნელოვანი საკონტროლო წერტილები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არაპერმანენტული სასარგებლო
მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არაპერმანენტული სასარგებლო
ცვლილებები და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების
ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება
ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში
აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობას მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების
სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება
მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებზე და პერიოდის
სრული შემოსავლის გზავლებაში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს
მოთხოვნებს გაუფასურებაში. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში
ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს,
ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს.
გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება,
ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით
გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე
აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და
დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ
გადაიხედება პერიოდულად, რათა შეიმჩნეოდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ
დანაკარგებს შორის.

• სასაჩარტლო დავები - კომპანია ანარიცხს სასაჩარტლო დავებთან დაკავშირებით
აღიარებს მხოლოდ მასზე, როდესაც აღვილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას,
რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური
სარგებლობის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საინვესტიო განსაზღვრა. იც,
სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ ემყარება, პირობითი ვალდებულება
შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით
შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგენას, რომლის აღიარება
ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს
არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის
ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს
არსებულ თუ მომავალ სასაჩარტლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს
ყოველ მიმდინარე სასაჩარტლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო
პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის
შექმნა. შეფასების დროს გათვალისწინება შეიძლება ფაქტორები: დავის ხასიათი,
მომხივანია თუ მოპასუხე, სასაჩარტლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური
ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი
შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასაჩარტლო დავები.

პირობითი ვალდებულებები

კომპანიის მფლობელი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ექონია

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:

დირექტორი:

